დანართი №1

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ინგლისური ფილოლოგია, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
26.01.26-30.01.26

დასკვნის წარდგენის თარიღი

30.01.26

თბილისი

შინაარსი

I. 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 9

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 13

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 18

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 23

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი, შპს
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარიამ კილანავა, საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯოჯუა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ინგლისური ფილოლოგია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	English Philology
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0231 ენის დაუფლება Language Acquisition
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს შპს საქართველოს უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო კოდით: 205037137). პროგრამა მიზნად ისახავს ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრის (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონე) მომზადებას. იგი შეესაბამება დეტალური სფეროს კოდს 0231 (ენები) და სპეციალიზაციას 0231.1.2 ინგლისური ფილოლოგია. სწავლების ძირითადი ენა არის ქართული, ხოლო პროგრამის სრული მოცულობა შეადგენს 240 ECTS კრედიტს. პროგრამა აკრედიტირებულია 2019 წლის 28 მარტის N78 გადაწყვეტილების საფუძველზე. მიღებული აკრედიტაცია მოქმედებს 2030 წლის 28 თებერვლამდე, რაც ადასტურებს პროგრამის სტაბილურობასა და ხარისხის შესაბამისობას ეროვნულ სტანდარტებთან.

პროგრამის მიზანია მრავალმხრივი, ინტერდისციპლინური ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადება, რომელსაც შეეძლება ეფექტური საქმიანობის განხორციელება არა მხოლოდ ფილოლოგიის სფეროში, არამედ მის მიჯნავე დისციპლინებშიც. სასწავლო გეგმა ინტეგრირებულია თანამედროვე საერთაშორისო პრაქტიკასთან და მოიცავს ლინგვისტურ, ლიტერატურულ, კულტუროლოგიურ და პრაქტიკულ ენობრივ კომპონენტებს, ასევე პროფესიულ ინგლისურს სპეციფიკურ კონტექსტებში (ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა).

საგანმანათლებლო პროგრამა ასახავს სფეროს განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ინტეგრაციას. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციისა და პროფესიული გამოცდილების მქონე სპეციალისტებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  არ ეხება

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ისინი სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის, ისე სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი სფეროს მოთხოვნებს. პროგრამის ძირითადი მიზანი ინტერდისციპლინური ცოდნითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადებაა, რაც თანხვედრაშია VI დონის საერთო დესკრიპტორებთან, რომლებიც ითვალისწინებს ცოდნის ინტეგრირებასა და გამოყენებას. პროგრამის სწავლის შედეგებისა და მათი სხვა წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობის სრული სპექტრი თანხვედრაშია როგორც პროგრამის მიზნებთან, ისე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან. ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია განსაზღვრული მექანიზმი პროგრამისა და კურსის სწავლის შედეგების შესაფასებლად. ეს მექანიზმი სისტემურად მოიცავს შეფასების მეთოდების დიფერენციაციას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ასევე მიღებული შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი) და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აგებულია თანმიმდევრული, ლოგიკური სტრუქტურით, რომელიც ასახავს ცოდნის გაფართოების პრინციპს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები/საგნები, მათი კრედიტული მოცულობა, შინაარსი და სასწავლო მასალა ძირითადად და სისტემურად უზრუნველყოფენ როგორც ცალკეული კურსების, ისე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამით განსაზღვრულია სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სამართლიანი, გამჭვირვალე, საჯაროა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები საჯაროდ ხელმისაწვდომია და ითვალისწინებს ერთიანი ეროვნული

გამოცდების შედეგებს. სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, დამატებით დაწესებულია ინგლისური ენის მინიმალური ზღვარი (74% + ბარიერი), რაც ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს და აუცილებელია მის წარმატებით დასაძლევად. ეს პირობები უზრუნველყოფს ჩარიცხვის პროცესის სამართლებრივ სიზუსტეს და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს აბიტურიენტთა სრულ ინფორმირებას. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების თანმიმდევრულ განვითარებას საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად. პრაქტიკული და ენობრივი აქტივობები ინტეგრირებულია სასწავლო კურსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტი რეალიზდება ლიტერატურის მიმოხილვის, ანალიზისა და მცირე ნაშრომების მომზადების გზით. თუმცა, კვლევით აქტივობებში ემპირიული კვლევის ელემენტები (მონაცემთა შეგროვება, ანალიზი) ნაკლებადაა წარმოდგენილი. ტრანსფერული უნარები (კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია) ძირითადად ყალიბდება სწავლების პროცესის განმავლობაში, მაგრამ მათი შეფასება და სისტემური მონიტორინგი შეიძლება გაუმჯობესებას საჭიროებდეს. სასურველია ემპირიული კვლევის მეთოდების და ტრანსფერული უნარების მეტი სტრუქტურირებული ინტეგრაცია. პროგრამაში გამოიყენება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ინტერაქტიული ლექციები, დისკუსიები, პრობლემაზე და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები და პრაქტიკული სამუშაოები. ეს მეთოდები ხელს უწყობს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და ავტონომიურობის განვითარებას. თუმცა, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები, როგორიცაა რეფლექსიური სავარჯიშოები ან თანატოლთა შეფასება, არ არის საკმარისად სისტემურად ინტეგრირებული. სასურველია ამ ინსტრუმენტების ეტაპობრივი დანერგვა, რათა სტუდენტებს შეეძლოთ დროულად შეასწორონ და გააუმჯობესონ შესაბამისი უნარები. შეფასების სისტემა ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები და კომპონენტები წინასწარ არის განსაზღვრული და ცნობილი სტუდენტებისთვის სილაბუსების დახმარებით. სისტემა იყენებს ქულობრივ და სიტყვიერ შეფასებას, რაც შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს. თუმცა, შეფასება ძირითადად შემაჯამებელი ხასიათისაა, ხოლო განმავითარებელი შეფასება და სტრუქტურირებული უკუკავშირი შეზღუდულია. ასევე, ტრანსფერული უნარების შეფასება ხდება ირიბად, რაც ართულებს მათი განვითარების მკაფიო მონიტორინგს. რეკომენდირებულია შეფასების მეთოდების დივერსიფიკაცია, განმავითრებელი შეფასების გაძლიერება და ტრანსფერული უნარების შეფასების უფრო სტრუქტურირებული მიდგომა.

პროგრამის აკადემიური პერსონალი ძირითადად შედგება მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორებისგან, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება შესაბამისი საგნების შინაარსს. ძირითადი ბლოკი უზრუნველყოფილია სტაბილური, აფილირებული პერსონალით, რაც პროგრამის მდგრადობის ძირითადი საფუძველია. საუნივერსიტეტო და სპეციალიზებულ ბლოკებში მოწვეული ლექტორების ჩართულობა უზრუნველყოფს პრაქტიკული და თანამედროვე ცოდნის მიწოდებას. პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენცია და გუნდის მუშაობა აღსანიშნავია. პერსონალის რესურსი სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

სტანდარტი 1.5.

რეკომენდებულია დარგობრივი ინგლისური ენის კურსების (მაგ., ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა) დასახელებების განახლება ისე, რომ სახელწოდებებში აქცენტი გაკეთდეს დარგობრივ სპეციფიკაზე, ხოლო სასწავლო შედეგები ჩამოყალიბდეს დარგობრივი ლექსიკისა და კომუნიკაციის ათვისების კონტექსტში, ზოგადი ენობრივი C1 დონის ნაცვლად. ეს ცვლილებები გახდის კურსებს დაშესაბამისად პროგრამას უფრო გამჭვირვალეს, პრაგმატულს და საბაზრო მოთხოვნებთან თანხვედრილს.

სტანდარტი 2.4.

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ცალკე ქვეპუნქტად განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდები და კომპონენტები (გამოცდები, შუალედური ტესტები, წერითი ნაშრომები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვ.), ასევე მათი წილობრივი მნიშვნელობა საბოლოო შეფასებაში.

- რეკომენდებულია შეფასების სისტემის შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტებს შორის ბალანსის დაცვა სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიზნობრივად დანერგვის სახით (ნაშრომის გეგმებისა და მონახაზების შეფასება, რეფლექსია, თანატოლთა შეფასება), რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას დროულად მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

- **რჩევები**

სტანდარტი 2.2.

- სასურველია, კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით ემპირიული კვლევის ელემენტების ეტაპობრივად ჩართვა სასწავლო კურსებში;
- **სტანდარტი 2.3.**
  სასურველია, პროგრამაში დაემატოს სტუდენტთა განმავითარებელი სწავლა/სწავლების აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს კოლაბორაციულ სწავლებასა და სტუდენტებში ავტონომიურად სწავლის დაგეგმვას.

სტანდარტი 2.4.

- სასურველია, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და გუნდური მუშაობის უნარებისთვის ცალკეული, გაზომვადი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. აღნიშნული უნარები უნდა აისახოს არა მხოლოდ შინაარსობრივ შეფასებაში, არამედ დამოუკიდებელ კომპონენტებად, რაც შესაძლებელს გახდის მათი განვითარების დონის მკაფიო იდენტიფიცირებასა და პროგრესის სისტემურ მონიტორინგს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად,** მაგალითად:

  - **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

  - **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

  - **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული სტუდენტთა ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით;

- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[4]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა მხრიდან გაცემული დასკვნის საპასუხოდ, პროგრამის ხელმძღვანელმა წარმოადგინა პოზიცია თანდართული დოკუმენტაციის სახით. წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა არ გაიზიარა რეკომენდაციები. აღნიშნულის საპირწონედ, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ

1. **ქვესტანდარტი 1.5**

- სილაბუსთა არსებული სახელწოდება შესაძლოა არ იყოს საკმარისად ინფორმაციული გარე დაინტერესებული მხარეებისთვის (აბიტურიენტები, დამსაქმებლები, საერთაშორისო პარტნიორები). სახელწოდებები - ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა) მეტად ორიენტირდება ფილოლოგიაზე და არა დარგობრივ მიმართულებაზე, სახელწოდება შემდეგნაირი ფორმულირება შექმნიდა მეტ სიცხადეს თუნდაც წარმოდგენილი ვარიაციით - *ინგლისური ენა ბიზნესისთვის (ფილოლოგებისთვის)* და ა.შ.
- კურსის შედეგებში C1 დონის მითითება ზოგადი ინგლისური ენის კურსისთვის უფრო შესაბამისია, ვიდრე დარგობრივი ენის კურსისთვის. იმ ფაქტის გათვალისიწნებით, რომ კურსი არის დარგობრივი ენის შესწავლისთვის, კონკრეტული დონის მითითება ლოგიკურად მიემართება დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენციათა ფლობას C1 დონეზე, რაც მხოლოდ აღნიშნული კურსის ფარგლებში ვერ იქნება მიღწევადი თუ ამ კურსამდე სტუდენტმა ისევ დარგობრივი ენის კურსი, მაგრამ B1/B2 დონეზე მაინც არ გაიარა (დარგობრივი დონეთა გრადაციის გათვალსიწინებით).
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ტექნიკური დეტალის (წინაპირობა) გასწორება მისასალმებელია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ რეკომენდაციის სრულად გაზიარება პროგრამით გათვალისწინებული აღნიშნული კურსების წარმატებული განხორციელებისთვის მნიშვნელოვანი იქნება.

2. **ქვესტანდარტი 2.3**

- ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციას რეკომენდაციის მიმართ და მიიჩნევს, რომ ის რჩევის სახით აისახოს დასკვნის დოკუმენტში შემდეგი ფორმულირებით *-სასურველია, პროგრამაში დაემატოს სტუდენტთა განმავითარებელი სწავლა/სწავლების უფრო მეტი აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს კოლაბორაციულ სწავლებასა და სტუდენტებში ავტონომიურად სწავლის დაგეგმვის კულტურის გამომუშავებას.*

3. **ქვესტანდარტი 2.4 (1)**

- მიუხედავად იმისა, რომ შეფასების დეტალები წარმოდგენილია პროგრამის სილაბუსებში, თავად პროგრამის, როგორც ძირითადი/საჯარო დოკუმენტის აღწერაში აუცილებელია ცალსახად იყოს

[4] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

განსაზღვრული შეფასების ძირითადი მეთოდები და მათი წილობრივი მნიშვნელობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაქსიმალური გამჭვირვალობა აბიტურიენტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, პროგრამის დონეზე.

4. **ქვესტანდარტი 2.4 (2)**

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის ფარგლებში სისტემური მიდგომა განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების (როგორებიცაა ნაშრომის მონახაზებზე უკუკავშირი, რეფლექსიის დღიურები, თანატოლთა შეფასების რუბრიკები) მიზნობრივი დანერგვის მიმართულებით მნიშვნელოვანია სტუდენტებისთვის მათ მიერ სწავლის შედეგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით ეს ეხება ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებული სწავლის შედეგების მაქსიმალურად მიღწევასა და მათ შეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია კვლავ რჩება პროგრამის მიმართ.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დასკვნის მიმართ პროგრამის მხრიდან გამოთქმული არგუმენტების საპასუხოდ, ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად მიიჩნია, სილაბუსების წინაპირობის ჩასწორებული ვერსიის წარმოდგენა (ქვესტანდარტი 1.5), თუმცა რეკომენდაცია კვლავაც შენარჩუნდა. ასევე, ქვესტანდარტის 2.3 რეკომენდაცია ჩამოყალიბდა რჩევის სახით, რამაც სტანდარტის მიმართ შფასება შეცვალა - *„შესაბამისობაშია“* კატეგორიით, ნაცვლად - *„მეტწილად შესაბამისობაშია“* . აღნიშნული რედაქტირება აისახა დასკვნის დოკუმენტში, ხოლო დანარჩენი რეკომენდაციები უცვლელად შენარჩუნდა.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.**

III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შეფასება**
1.	**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**	აირჩიეთ შესაბამისი
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	**სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**	აირჩიეთ შესაბამისი
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

3.	**სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**	აირჩიეთ შესაბამისი
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	არ ეხება
3.2	მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება
4	**სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**	აირჩიეთ შესაბამისი
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	არ ეხება
4.4	მატერიალური რესურსი	არ ეხება
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	არ ეხება
5	**სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**	აირჩიეთ შესაბამისი
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	არ ეხება
5.2	გარე ხარისხის შეფასება	არ ეხება
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	არ ეხება

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო
რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე
შეფასების კრიტერიუმები

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის

შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

წარმოდგენილი პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე იკვეთება, რომ პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და ისინი სრულად შეესაბამება როგორც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონის, ისე სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი სფეროს მოთხოვნებს. პროგრამის ძირითადი მიზანი ინტერდისციპლინური ცოდნითა და კომპეტენციებით აღჭურვილი სპეციალისტის მომზადების შესახებაა, რაც თანხვედრაშია VI დონის საერთო დესკრიპტორებთან, რომლებიც ითვალისწინებს ცოდნის ინტეგრირებასა და გამოყენებას. კონკრეტულად, პროგრამა უზრუნველყოფს ლინგვისტიკური, ლიტერატურული და კულტურული ცოდნის სინთეზს პრაქტიკულ-კომუნიკაციურ უნარებთან, და მიზანში ხაზგასმული კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარება ფილოლოგიური და კომუნიკაციური ამოცანების გადაჭრის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციას ემსახურება პროგრამის სპეციფიკური მოდულური სტრუქტურა, რომელიც არ ზღუდავს მომზადებას მხოლოდ კომპეტენციის მაფორმირებელი სავალდებულო საგნებით. სწავლების გეგმა მოიცავს საუნივერსიტეტო სავალდებულო-არჩევით საგნებს სოციალურ/ჰუმანიტარულ და STEM მიმართულებებში, ასევე სპეციალობის სავალდებულო ასარჩევ ბლოკს (მეორე უცხო ენა). განსაკუთრებით აღსანიშნია დამატებითი სპეციალობის არჩევის შესაძლებლობა, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, ძირითად პროფილთან ერთად მიიღოს საბაზისო ცოდნა სხვა დარგში (პროგრამა. გვ. 8). ეს მიდგომა პირდაპირ ემსახურება პროგრამაში ჩამოყალიბებულ მიზნს ფილოლოგის პროფესიული ჰორიზონტის გაფართოების, მოთხოვნადი კადრის აღზრდის შესახებ, რითაც აღწევს ცოდნის სინთეზს და პრაქტიკულ გამოყენებას (პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი გვ.1).

პროგრამა მიმართულია ეფექტური ინგლისურენოვანი კომუნიკატორის ჩამოყალიბებაზე, რაც ასახავს ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩოთი გათვალისწინებულ კომუნიკაციურ და სოციალურ კომპეტენციებს. ამასთან, ის ითვალისწინებს კვლევითი უნარების ფორმირებას და პასუხისმგებლობის აღებას პროფესიული განვითარებისთვის, რაც შეესაბამება ავტონომიურობის მოთხოვნას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საბაკალავრო ნაშრომთან დაკავშირებული ცვლილებები. კერძოდ, პროგრამის სავალდებულო საგნების სეგმენტიდან ამოღებულ იქნა საბაკალავრო ნაშრომი (12 ECTS) და მისი ნაცვლად, სტუდენტი ძირითადი სწავლის სფეროს ორ საგანს (12 ECTS) ფარავს (თვითშეფასების დოკუმენტი გვ10.). აღნიშნული ცვლილება, რომელიც ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი საგნებით (დისკურსის ენობრივი და კონტექსტუალური განზომილებები, ენა, ცნობიერება და ასოციაციები, ენისა და აზროვნების სოციოკულტურული განზომილებები, მხატვრული ტექსტის ანალიზი და ინტერპრეტაცია) ხორციელდება, წარმოადგენს პროგრამის აკადემიური კომპონენტის რესტრუქტურიზაციას. ეს შეიძლება განიხილებოდეს, როგორც პროგრამის მიდგომის გადაანგარიშება კვლევითი კომპეტენციის ჩამოყალიბების თავისებურებების გათვალისწინებით. ახალი საგნები კონცენტრირებულია ტექსტის,

დისკურსის და ენობრივი მოვლენების კომპლექსურ ანალიზზე, რაც უზრუნველყოფს კრიტიკული აზროვნებისა და სამეცნიერო ანალიზის უნარების განვითარებას ინტეგრირებული სახით.

განხილული პროგრამის მიზნები ასახავს ფილოლოგიური განათლების სრულ სპექტრს, მოიცავს რა ენის კომპეტენტური მომხმარებლის ჩამოყალიბებას, ლინგვისტიკური კონცეფციების ათვისებას, ლიტერატურულ-კულტურულ მომზადებას და პროფესიული პოტენციალის გაფართოებას. შიძლებ აითქვას, რომ პროგრამის მიზნები ასახავს ბაკალავრის დონის კვალიფიკაციის სრულ პროფილს, რომელიც აერთიანებს შესაბამის დონის აკადემიურ ცოდნას, პრაქტიკულ და კრიტიკულ აზროვნების უნარებს, აგრეთვე პროფესიულ მობილურობისა და განვითარების შესაძლებლობებს შესაბამის და მომიჯნავე სფეროებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამის თითშეფასების დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩართო დოკუმენტი.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[1.1 პროგრამის მიზნები]	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგებისა და მათი სხვა თანდართულ დოკუმენტაციასთან შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობის სრული სპექტრი, თანხვედრაშია როგორც პროგრამის მიზნებთან, ისე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონისა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებთან.

ცოდნა და გაცნობიერების სფეროში განსაზღვრული შედეგები (როგორებიცაა ენათმეცნიერების ისტორიისა და თეორიების მიმოხილვა, მსოფლიო ლიტერატურის პროცესის ძირითადი ეპოქებისა და ლიტერატურული თეორიების აღწერა, ინგლისური ენის ისტორიულ-კულტურული განზომილებების დახასიათება) ქმნის ფილოლოგიური განათლების შესაბამის თეორიულ ბირთვს. მათი შინაარსი გამომდინარეობს ფილოლოგიის სფეროსთვის მახასიათებლებიდან რაც ვლინდება პროგრამაში ჩართული ძირითადი დისციპლინების (მაგ., ენათმეცნიერების შესავალი, ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის თეორიის საფუძვლები, ინგლისური ენა: ისტორიული და კულტურული განზომილებები) სილაბუსებიდან.

პროგრამით გათვალისწინებული უნარების ნაწილში ჩამოყალიბებული შედეგები ასახავს პროგრამის პრაქტიკულ-კომპეტენციურ ორიენტაციას. ისინი კონცენტრირებულია ფილოლოგიური მეთოდების გამოყენებითი ანალიზისა და სინთეზის (მაგ., ტექსტის ჰერმენევტიკური ანალიზი), ინფორმაციის კრიტიკული შეფასებისა და არგუმენტირებული პრეზენტაციის, აგრეთვე მაღალი დონის კომუნიკაციური კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე როგორც ინგლისურ (C1 დონემდე), ისე მეორე უცხო ენაზე (B1 დონე). სამიზნე ენის მოცემულ დონეებზე ფლობა კურსდამთავრებულებს აძლევს საშუალებას მოახერხონ კომპლექსური იდეების გააზრება და გადმოცემა, პრობლემების იდენტიფიცირება და გადაწყვეტა მიღებული ცოდნის გამოყენებით, აგრეთვე ეფექტური კომუნიკაცია პროფესიულ გარემოში. პროგრამის არჩევით ბლოკში შემავალი საგნებიც (მაგ., აკადემიური წერა, რიტორიკა) ემსახურება აღნიშნული უნარების განვითარებას.

პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაწილი ასახავს პროგრამის მიდგომას პროფესიული ეთიკისა და სწავლის კომპეტენციის ჩამოყალიბებაზე. პროგრამის შედეგების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, აკადემიური პატიოსნების ნორმების დაცვასა და კვლევითი პროექტების დამოუკიდებელ შესრულებაზე (პროგრამა. გვ2). თვითშეფასების დოკუმენტში მოცემული კვალიფიკაციის აღწერა (ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი) ემსახურება ზემოაღნიშნული სწავლის შედეგების სინთეზს და მათი პრაქტიკული გამოვლინების აღწერას. იგი ასახავს სპეციალისტის პროფილს, რომელსაც აქვს თეორიული ცოდნა, პრაქტიკული (კომუნიკაციური და ანალიტიკური) უნარები და პროფესიული მიდგომა, რაც სრულ შესაბამისობაშია სწავლის შედეგებთან და პროგრამის ინტერდისციპლინარულ მიზნებთან. აღნიშნული აღწერა კარგად ხსნის, თუ როგორ უზრუნველყოფს პროგრამის სტრუქტურა (მათ შორის, დამატებითი სპეციალობა და პროფესიული ინგლისური მოდულები) კურსდამთავრებულის მობილურობას სახელმწიფო, არასამთავრობო, საგამომცემლო, დიპლომატიურ და მედია სფეროებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ პროგრამის სწავლის შედეგები წარმოადგენს კომპლექსურ, კომპეტენციაზე ორიენტირებულ და კარგად დოკუმენტირებულ სისტემას, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნებს ფილოლოგიის სფეროში. ისინი უზრუნველყოფენ კვალიფიციური, მრავალმხრივი და საბაზრო მოთხოვნებისთვის მომზადებული სპეციალისტის მომზადებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას გააჩნია კარგად განსაზღვრული მექანიზმი პროგრამის დონისა და კურსის დონის სწავლის შედეგების შესაფასებლად. ეს მექანიზმი სისტემურად მოიცავს შეფასების მეთოდების დიფერენციაციას, მონაცემთა შეგროვებასა და ანალიზს, ასევე მიღებული შედეგების გამოყენებას საგანმანათლებლო პროცესის გასაუმჯობესებლად, რაც სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

პროგრამაში გამოიყენება შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც მიზნად ისახავს სწავლის შედეგების მრავალმხრივ შეფასებას. შეფასების მეთოდები მოიცავს როგორც მიმდინარე (კვირეული დავალებები, ქვიზები, დისკუსიებში მონაწილეობა), ისე საბოლოო შეფასების (წერითი/ზეპირი გამოცდა) ინსტრუმენტებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია საპრეზენტაციო ნაშრომების/რეფერატებისა და მცირე კვლევითი პროექტების გამოყენება, რაც საშუალებას აძლევს შეფასდეს არა მხოლოდ

რეპროდუქციული ცოდნა, არამედ ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარები.

წარმოდგენილ დანართებში (#1, #2) მოცემული მატრიცები ნათლად ადგენენ კავშირს ცალკეულ საგანმანათლებლო კომპონენტებს (კურსებს), პროგრამის სრულ სწავლის შედეგებს, კონკრეტულ შეფასების მეთოდებსა და მტკიცებულებებს შორის. ეს კი, თავისმხრივ, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციაში სწავლის შედეგები ნათლად არის წარმოდგენილი კურსებში და თითოეული კურსისთვის მითითებულია რა სახის შეფასების ინსტრუმენტი (მტკიცებულება) აფასებს მოცემული შედეგის მიღწევას. აღნიშნული წარმოდგენილია ცალკე დანართების სახითაც (დანართი 1 და 2).

საგანმანათლებლო პროგრამა - ინგლისური ფილოლოგია აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით. პროგრამას გააჩნია შეფასების მრავალფეროვანი სისტემა, რომელიც არა მხოლოდ ზომავს სტუდენტების მიღწევებს, არამედ უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციას პროგრამის ეფექტურობის შესაფასებლად და მისი ხარისხის უწყვეტი განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- დანართი #1 - კომპონენტები, სწავლის შედეგები;
- დანართი #2 - კომპონენტები, სწავლის შედეგები.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი სრულად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი) და უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა აგებულია თანმიმდევრული, ლოგიკური სტრუქტურით.

პროგრამის 240 ECTS კრედიტის განაწილება ასახავს დაბალანსებულ მიდგომას. იგი მოიცავს კომპეტენციის მაფორმირებელ სავალდებულო ბირთვს (126 ECTS). მოცემული ბლოკი უზრუნველყოფს ფილოლოგიის ძირითადი კომპონენტების – ენის პრაქტიკული მომზადების (ინგლისური ენის კურსები C1 დონემდე), ლინგვისტიკის (ენათმეცნიერება, გრამატიკა, ფონეტიკა, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა), ლიტერატურათმცოდნეობის (ინგლისური და მსოფლიო ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია) და კულტუროლოგიის (ბრიტანული და ამერიკული კულტურა, ენის ისტორიული განზომილებები) სისტემატურ ათვისებას. სტრუქტურა ლოგიკურად მიყვება ცოდნის გაფართოების პრინციპს.

პროფესიული სპეციალიზაციის მოდულებს (60 ECTS), რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიფართოვოს ცოდნა კონკრეტული ინტერესის სფეროებში, მათ შორის პროფესიულ-ორიენტირებულ მიმართულებებში, რაც პირდაპირ ემსახურება პროგრამის მიზანს მრავალმხრივი სპეციალისტის მომზადების შესახებ.

საერთო უნარებისა და ჰუმანიტარული საფუძვლის განმტკიცების კომპონენტებს, მეორე ევროპული ენა (24 ECTS), სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი და საუნივერსიტეტო არჩევითი ბლოკები (24 ECTS) აფართოებენ კურსდამთავრებულის საერთო განათლების ჰორიზონტს და უზრუნველყოფენ მის კონკურენტუნარიანობას.

დანართებში (#1, #2) წარმოდგენილი დეტალური მატრიცები ადასტურებენ, რომ პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის შინაარსი პირდაპირ და ლოგიკურად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული საგანი წვდომას იძლევა ცოდნის, უნარების ან კომპეტენციების კონკრეტულ ნაკრებთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები (საგნების ინტეგრაცია, საბაკალავრო ნაშრომის ლოგიკური ჩანაცვლება დამატებითი სპეციალიზებული კურსებით) მიუთითებს პროგრამის მოქნილობაზე კადემიური მოთხოვნების, სფეროს განვითარების ტენდენციებისა და სასწავლო პროცესის ეფექტურობის გათვალისწინებით. ეს პრაქტიკა შეესაბამება ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების პრინციპს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- დანართი #1 ;
- თვითშეფასების ანგარიში.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები/საგნები, მათი კრედიტული მოცულობა, შინაარსი და სასწავლო მასალა ძირითადად და სისტემურად უზრუნველყოფენ როგორც ცალკეული კურსების, ისე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თითოეული ძირითადი საგანი შეფასებულია 6 ECTS კრედიტით, რაც შეესაბამება ევროპული კრედიტ სისტემის (ECTS) სტანდარტებს და ითვალისწინებს სტუდენტის საჭირო სამუშაო დროს (ლექციები, სემინარები, დამოუკიდებელი მუშაობა). კრედიტების რაოდენობა (240 ECTS მთლიანობაში) და მათი განაწილება პროგრამის სტრუქტურის ბლოკებში ლოგიკური და საკმარისია საბაკალავრო დონის კვალიფიკაციის მისაღწევად და პროგრამის ყველა დეკლარირებული სწავლის შედეგის დასაფარად.

პროგრამის ძირითადი ბლოკის (114 ECTS) ყველა საგანი არის დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან. ეს დადასტურებულია დანართ #1-ში წარმოდგენილი მატრიცით, სადაც თითოეული

კურსისთვის მითითებულია, რომელ კონკრეტულ პროგრამულ სწავლის შედეგს (ცოდნა, უნარი, პასუხისმგებლობა) ემსახურება მისი შინაარსი. მაგალითად, ენათმეცნიერების შესავალი უზრუნველყოფს ლინგვისტიკური ცოდნისა და ანალიზის უნარების შედეგს, ხოლო ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (ბიზნესი) - პროფესიულ კომუნიკაციას (დანართი 1). აქვე უნდა აღინიშნოს პროგრამის ძირითადი სავალდებულო კურსების დასახელების თავისებურებები. დარგობრივი მიმართულების ინგლისური ენის კურსები მოცემულია შემდეგი ფორმულირებებით - ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (ბიზნესი), ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (პოლიტიკა) და ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (სამართალი). მოცემული კურსების მსგავსი დასახელება ქმნის ორი მიმართულების (ფილოლოგიისა და შესაბამისი მიმართულების - ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა) კორელაციის შთაბეჭდილებას, და არა დარგობრივი მიმართულებისთვის განკუთვნილი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსისა. მოცემული საკითხის მეტი სიცხადისთვის, მნიშვნელოვანია არსებული სახელწოდებები ფორმირდეს ისე, რომ აქცენტი იყოს დარგობრივ მიმართულებაზე და არა ფილოლოგიაზე (მაგ. ინგლისური ენა ბინესისთვის/ბიზნეს ინგლისური და ა .შ.), განსაკუთრებით იმის გათვალისწინებითაც, რომ კურსების შინაარსი მეტად ორიენტირებულია დარგობრივი ინგლისური ენის შესწავლაზე და არა ფილოლოგიის, როგორც დარგის ენის შესწავლაზე. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ კურსი ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (პოლიტიკა), რომლის აღწერის ნაწილი მოცემულია შემდეგი სახით - *კურსი ორიენტირებულია ისეთ თემებზე,როგორიცაა: პოლიტიკის არსი; სხვადასხვა თვალსაზრისი პოლიტიკის თაობაზე; ცნებები, მოდელები, თეორიები, კლასიფიკაციისტრადიციული სისტემები; თანამედროვე მსოფლიოს რეჟიმები; პოლიტიკური იდეოლოგიის არსი; გლობალური პოლიტიკა;პოლიტიკური კულტურა; არჩევნები და პარტიები; გადაწყვეტილების მიღების თეორიები; დემოკრატიის არსი* (კურსის სილაბუსი. გვ 1). აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნულ კურსებში წინაპირობად მითითებულია ინგლისური ენის ფლობა B2, C1 დონეებზე (კურსი - ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის (სამართალი)), შემდეგ კი, აღწერის კომპონენტში აღინიშნება, რომ კურსი *მოიცავს სამართლის სფეროსათვის რელევანტური პროფესიულ–დარგობრივი ინგლისური ენის კომპეტენტური გამოყენებისთვის (C1) შესაბამის ლექსიკურ მარაგს* (კურსის სილაბუსი. გვ 1). აღსანიშნია, რომ დარგობრივი ენის სწავლებისასაც გამოიყოფა ზოგადი ინგლისური ენის ფლობის დონეების ინედენტური გრადაცია (A1,A2,B1,B2,C1,C2). გამომდინარე იქიდან, რომ კურსით გათვალისწინებული დარგობრივი ენის C1 დონეზე შესწავლისთვის საკმარის საფუძველს ვერ შექმნის ზოგადი ინგლისური თუნდაც C1 დონეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ დარგობრივი ინგლისური ენის კურსები ფარავდეს არა პირდაპირ C1 დონეს, არამედ შეთავაზებული იყოს ალტერნატიული ფორმატით, თუნდაც წინაპირობით გათვალისწინებულ კურსებში ინტეგრირების გზით, შემსწავლელს მიეცეს შესაძლებლობა შეისწავლოს დარგობრივი ინგლისური ენის ლექსიკა C1-ზე დაბალი დონის შესაბამისად, რაც შექმნის C1 დონისთვის მოსამზადებელ ეტაპს.

საუნივერსიტეტო არჩევითი, მეორე ევროპული ენის და დამატებითი სპეციალობის საგნები აუცილებელ კონტექსტს და ფუნდამენტს ქმნიან ფილოლოგის ფართო პროფილისთვის. ისინი უზრუნველყოფენ ზოგად ჰუმანიტარულ, სოციალურ, ციფრულ და მეორეულ ენობრივ კომპეტენციებს, რომლებიც აუცილებელია დეკლარირებული მიზნების ("ინტერდისციპლინური ცოდნა", "მარკეტაბელური პროფესიონალი") რეალიზაციისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემავალი სასწავლო კურსები, მათი კრედიტული მოცულობა, შინაარსი და სასწავლო მასალა სისტემურად და ეფექტიურად უზრუნველყოფს როგორც ცალკეული კურსების, ისე მთლიანი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. 240 ECTS კრედიტის ლოგიკურად დაბალანსებული განაწილება პროგრამის სტრუქტურის ბლოკებში შეესაბამება საბაკალავრო დონის კვალიფიკაციის მოთხოვნებს. დანართებში წარმოდგენილი დეტალური მატრიცები მკაფიოდ ადგენს ურთიერთკავშირს თითოეული ძირითადი საგნის შინაარსსა და პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგებს შორის, რაც ადასტურებს პროგრამის შინაგან კოჰერენტობას და მიზანმიმართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- დანართი #1;
- დანართი #2.

[რეკომენდაციები]

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რეკომენდირებულია დარგობრივი ინგლისური ენის კურსების (მაგ., ინგლისური ენა ფილოლოგებისთვის ბიზნესი, სამართალი, პოლიტიკა) დასახელების განახლება ისე, რომ სახელწოდებებში აქცენტი დარგობრივ სპეციფიკაზე იყოს გამოკვეთილი, ხოლო სასწავლო შედეგები ჩამოყალიბდეს დარგობრივი ლექსიკისა და კომუნიკაციის ათვისების კონტექსტში, ზოგადი ენობრივი C1 დონის ნაცვლად. ეს ცვლილებები გახდის კურსებს და შესაბამისად პროგრამას უფრო გამჭვირვალეს, პრაგმატულს და საბაზრო მოთხოვნებთან შესაბამისს.

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

უსდ-ს განსაზღვრული აქვს სტუდენტთა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლებიც სამართლიანია, გამჭვირვალე, საჯარო და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას: კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები გაწერილია საჯაროდ ხელმისაწვდომ პროგრამის აღწერილობის დოკუმენტში, ,,ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და უნივერსიტეტის პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე“ და შეესაბამება ინგლისური ფილოლოგიის სფეროს სპეციფიკას იმდენად, რამდენადაც პროგრამაზე სწავლის მსურველთათვის დამატებით ინგლისური ენის მინიმალურ ზღვრად დაწესებულია 74 % +1.ბარიერი, რაც აუცილებელია პროგრამის დასაძლევად და მისი შედეგების მიღწევისათვის.

ეს ყოველივე უზრუნველყოფს პროგრამაზე ჩარიცხვის სამართლებრივ და პროცედურულ სიზუსტეს. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინგლისური ენის მინიმალური ზღვარი ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების ენას და უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ენობრივი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა ჩართვას.

პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს აბიტურიენტთა სრულყოფილ ინფორმირებას და თანაბარ ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- **საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;**
- **ვებგვერდი**

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.1 **პროგრამაზე დაშვების წინაპირობები**	შესაბამისობაშია

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ერთვებიან როგორც პრაქტიკულ და ენობრივ აქტივობებში, ისე მცირე კვლევით პროექტებში, რაც ხელს უწყობს დარგობრივი ცოდნის გამოყენებას პრაქტიკულ და აკადემიურ კონტექსტებში. კვლევითი კომპონენტი რეალიზდება ლიტერატურის მიმოხილვის, რეფერატებისა და მცირე კვლევითი ნაშრომების მომზადებისა და პრეზენტაციის გზით, რაც შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნებს. სტუდენტთა საქმიანობას ხელმძღვანელობენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსულტაციას, შეფასებასა და უკუკავშირს. პროგრამაში ინტეგრირებული პრაქტიკული და კვლევითი აქტივობები მიმართულია ტრანსფერული უნარების – კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, კომუნიკაციისა და ინფორმაციის მართვის – განვითარებაზე, რაც ზრდის კურსდამთავრებულთა დასაქმებადობასა და შემდგომი აკადემიური წინსვლის შესაძლებლობებს.

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებში პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლების საფეხურის- ბაკალავრიატისა და ინგლისური ფილოლოგიის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის სტრუქტურა ძირითადად ორიენტირებულია დარგობრივი ცოდნის თანმიმდევრულ განვითარებაზე, ხოლო პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტები ჩაშენებულია პროგრამის უმეტეს სასწავლო კურსებში შესაბამისი სასწავლო აქტივობების მეშვეობით (მაგალითად, ისეთი აქტივობები, როგორიცაა ნაშრომის, პრეზენტაციებისა და პროექტების მომზადება. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას აკადემიურ და ენობრივ პრაქტიკაში,

სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარება ხორციელდება ძირითადად ლიტერატურის ანალიზის, წერითი ნაშრომების, რეფერატებისა და მცირე კვლევითი დავალებების შესრულების გზით, რაც შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მინიმალურ მოთხოვნებს. ამასთანავე, კვლევითი აქტივობების უმეტესობა ფოკუსირებულია თეორიული მასალის ანალიზზე და ნაკლებად ითვალისწინებს ემპირიული კვლევის ელემენტების სისტემურ გამოყენებას, როგორიცაა მონაცემთა შეგროვება, კორპუსზე მუშაობა ან კვლევის შედეგების ინტერპრეტაცია. შესაბამისად, კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით სასურველი იქნებოდა ემპირიული კვლევის ელემენტების ეტაპობრივად ჩართვა სასწავლო კურსებში (მაგალითად, მარტივი მონაცემთა შეგროვების მეთოდების ან მცირე მასშტაბის საველე კვლევების, როგორც აქტივობის ინტეგრირება), აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სტუდენტებში კვლევითი აზროვნების ფორმირებას და მათ მომზადებას შემდგომი აკადემიური საფეხურებისთვის. ამის მსგავსად,

ტრანსფერული უნარების განვითარება — კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური მსჯელობა, პრეზენტაციისა და გუნდური მუშაობის უნარები — პროგრამაში ძირითადად ხორციელდება სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობების საშუალებით და არა მიზნობრივი სასწავლო კურსების სახით. მიუხედავად იმისა, რომ ეს უნარები თანდათანობით ყალიბდება სწავლების პროცესში, მათი შეფასება და დოკუმენტირება ხშირად ირიბ ხასიათს ატარებს, რამაც შესაძლოა გაართულოს მათი მიღწევის სისტემური მონიტორინგი და გაუმჯობესებაზე ორიენტირებული დაგეგმვა.

ზოგადად, პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, თუმცა სასურველი იქნებოდა ემპირიული კვლევისა და ზოგადტრანსფერული უნარების მეტად მიზნობრივი სტრუქტურირება, რაც ხელს შეუწყობს

სტუდენტთა კომპეტენციების გაძლიერებას, მათი აკადემიური და პროფესიული მზაობის ამაღლებას და პროგრამის შესაბამისობის გაძლიერებას ეროვნული და საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინგლისური ფილოლოგიის საგანამანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კვლევითი უნარების გაძლიერების მიზნით ემპირიული კვლევის ელემენტების ეტაპობრივად ჩართვა სასწავლო კურსებში;

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსების შინაარსს და განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური მიდგომები, მათ შორის ახსნა-განმარტებითი და დემონსტრირების მეთოდები, ინტერაქტიული მეცადინეობები, დისკუსიები და დებატები, პრობლემაზე და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, როლური თამაშები, პრაქტიკული სამუშაოები და სწავლება კეთებით. ენობრივი კომპეტენციის განვითარების მიზნით ფართოდ გამოიყენება ენის სასწავლო ლაბორატორიაში მუშაობა, აუდირება და ვერბალური პრაქტიკა. სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, სტუდენტებს შორის და სტუდენტსა და აკადემიურ პერსონალს შორის ინტერაქციას, ასევე ხელს უწყობს სტუდენტის ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის განვითარებას. საჭიროების შემთხვევაში, სწავლება ითვალისწინებს სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს და აკადემიური მომზადების დონეს, მათ შორის ელექტრონული სწავლების მეთოდების გამოყენებით, ისე, რომ არ შეიცვალოს პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები.

სწავლა-სწავლების მეთოდები გამოირჩევა მრავალფეროვნებით და ასახავს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე პრინციპებს. პროგრამაში გამოყენებულია როგორც ტრადიციული მეთოდები (წიგნზე მუშაობა, ახსნა-განმარტებითი და დემონსტრირების მეთოდები), ისე ინტერაქტიული და აქტიური სწავლების ფორმები, როგორიცაა დისკუსიები, დებატები, როლური თამაშები, პრობლემაზე და პროექტებზე დაფუძნებული სწავლება, სწავლება კეთებითა და ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ენობრივი კომპეტენციის განვითარებას ენის სასწავლო ლაბორატორიაში მუშაობის, აუდირების, ვერბალური პრაქტიკისა და პრაქტიკული სამუშაოების მეშვეობით.

ამასთან, პროგრამა მოიცავს კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, როგორიცაა წყაროების დამუშავება ლიტერატურის მიმოხილვა, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცია, კრიტიკული ანალიზი და ელექტრონული რესურსების გამოყენება.

მიუხედავად ამისა, პროგრამაში ინტეგრირებული სწავლა/სწავლის მეთოდები შედარებით მაკლებად (მათ შორის, პროექტზე დაფუძნებული სწავლება) მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარება კოლაბორაციულ მუშაობასა და საკუთარი ნაკლოვანებების დროულად აღმოჩენაში ისევე, როგორც ავტონომიურად სწავლის პროცესის წარმართვაში; კერძოდ, სწავლება-სწავლის მეთოდები, როგორც სტუდენტების შეფასება (იხ. 2.4) ხშირად ეფუძნება განსმაზღვრელ და შემაჯამებელ აქტივობებს (პრეზენტაციები, ნაშრომები, პროექტები), ხოლო განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები რეფლექსიური სავარჯიშოები, დღიურები, მოკლე მონახაზები, თანატოლთა უკუკავშირი და ურთიერთშეფასება ნაკლებად არის სისტემურად დანერგილი. შედეგად, სტუდენტებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ დროულად შეასწორონ და გააუმჯობესონ საკუთარი უნარები. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამაში ეტაპობრივად დაემატოს სტუდენტთა განმავითარებელი სწავლა/სწავლების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების ამსახველი დოკუმენტაცია (დანართები 1,2, და 3).

რეკომენდაციები

რჩევები

სასურველია, პროგრამაში დაემატოს სტუდენტთა განმავითარებელი სწავლა/სწავლების აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს კოლაბორაციულ სწავლებასა და სტუდენტებში ავტონომიურად სწავლის დაგეგმვას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ეფუძნება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, სანდოობისა და კანონმდებლობასთან შესაბამისობის პრინციპებს ფორმალურად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ინსტიტუციურ რეგულაციებს. შეფასების სისტემა ითვალისწინებს სხვადასხვა შეფასებით კომპონენტს და მეთოდს, რომლებიც შეესაბამება კურსების სპეციფიკას. კერძოდ, სტუდენტთა შეფასების წინასწარ განსაზღვრული კომპონენტები და შეფასების კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში, და ფორმალურად ცნობილია სტუდენტებისათვის.

სტუდენტთა შეფასების სისტემა წარმოდგენილია ქულობრივი, სიტყვიერი და GPA-ს მიხედვით კონვერტირებული სკალით, რომელიც სრულად შეესაბამება როგორც საუნივერსიტეტო, ისე საქართველოში მოქმედ ზოგად შეფასების სისტემას. შეფასების ეს მოდელი უზრუნველყოფს შეფასების გამჭვირვალობას, ობიექტურობასა და სტუდენტისთვის გასაგებ სტანდარტებს, ასევე მკაფიოდ განსაზღვრავს დადებითი და უარყოფითი შეფასებების კატეგორიებს. პროგრამის სწავლის შედეგებში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აკადემიური პატიოსნების დაცვაზე, რაც სტუდენტთა პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განვითარებას უწყობს ხელს.

როგორც აღინიშნა, შეფასების კრიტერიუმები, მეთოდები და კომპონენტები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და ასახულია შესაბამისი სილაბუსების ფარგლებში. თუმცა, საგანამანათლებლო პროგრამის აღწერაში არ არის დეტალურად გაწერილი სტუდენტთა შეფასების კონკრეტული მეთოდები და კომპონენტები (მაგალითად, გამოცდები, შუალედური ტესტები, წერითი ნაშრომები, პრეზენტაციები ან პროექტები) და მათი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც სასურველია დაზუსტდეს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა, პროგრამის გამჭვირვალობისა და უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის შეფასების პროცესის უკეთ პროგნოზირებადობის გაძლიერების მიზით, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპების რეალიზაციას.

ამასთან, შეფასების სისტემა ძირითადად შედეგზე ორიენტირებული, განმსაზღვრელი და შემაჯამებელი ხასიათისაა, ხოლო განმავითარებელი შეფასება ნაკლებად არის სისტემურად ინტეგრირებული სასწავლო პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, იგი ხშირ შემთხვევაში არ არის სტრუქტურირებული და არ ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ რუბრიკებს, რაც ზღუდავს უკუკავშირის პოტენციალს სწავლის პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

შეფასების სისტემის კიდევ ერთ შედარებით სუსტ მხარეს წარმოადგენს ტრანსფერული უნარების შეფასების ირიბი ხასიათი. კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური მსჯელობა, აკადემიური წერა, პრეზენტაციისა და გუნდური მუშაობის უნარები ძირითადად ფასდება შინაარსობრივ კომპონენტებთან ერთად და არა დამოუკიდებელი, გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე. ეს ართულებს აღნიშნული უნარების განვითარების დონის მკაფიო იდენტიფიცირებასა და მათი პროგრესის მონიტორინგს.

დადებითად უნდა აღინიშნოს აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციისა და შეფასების გასაჩივრების მექანიზმების არსებობა. თუმცა, მათი გამოყენების პრაქტიკა და ეფექტიანობა საჭიროებს უფრო მკაფიო ინდიკატორებსა და რეგულარულ მონიტორინგს, რათა შეფასების პროცესის სანდოობა და ვალიდურობა არ დარჩეს მხოლოდ ნორმატიული დოკუმენტების დონეზე.

საერთო ჯამში, სტუდენტთა შეფასების სისტემა უზრუნველყოფს ფორმალურ შესაბამისობას სტანდარტებთან, თუმცა საჭიროებს შეფასების მეთოდების დივერსიფიკაციას, ფორმატიული შეფასების გაძლიერებას და ტრანსფერული უნარების შეფასების სტრუქტურირებას, რათა შეფასება იყოს არა მხოლოდ კონტროლის, არამედ სწავლის განვითარების ინსტრუმენტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამის სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდების ამსახველი დოკუმენტაცია (დანართები 1,2, და 3).

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამის აღწერაში ცალკე ქვეპუნქტად განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების ძირითადი მეთოდები და კომპონენტები (გამოცდები, შუალედური ტესტები, წერითი ნაშრომები, პრეზენტაციები, პროექტები და სხვ.), ასევე მათი წილობრივი მნიშვნელობა საბოლოო შეფასებაში.
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის შემაჯამებელი, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტებს შორის ბალანსის დაცვა სასწავლო პროცესში განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების მიზნობრივად დანერგვის სახით (ნაშრომის გეგმებისა და მონახაზების შეფასება, რეფლექსია, თანატოლთა შეფასება), რაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას დროულად მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ სწავლის შედეგები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, კრიტიკული აზროვნების, ანალიტიკური მსჯელობის, აკადემიური წერის, პრეზენტაციისა და გუნდური მუშაობის უნარებისთვის ცალკეული, გაზომვადი შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა. აღნიშნული უნარები უნდა აისახოს არა მხოლოდ შინაარსობრივ შეფასებაში, არამედ დამოუკიდებელ კომპონენტებად, რაც შესაძლებელს გახდის მათი განვითარების დონის მკაფიო იდენტიფიცირებასა და პროგრესის სისტემურ მონიტორინგს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
2.4 სტუდენტების შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
3.1_სტუდენტების შეფასება	არ ეხება

3.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2_მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	არ ეხება

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და

გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი დოკუმენტაციის (დანართი 5) საფუძველზე იკვეთება, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალი ძირითადად შედგება მაღალი აკადემიური კვალიფიკაციის მქონე (პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების) და პრაქტიკული გამოცდილების მქონე (მოწვეული) სპეციალისტებისგან, რომელთა კომპეტენციები შეესაბამება მათ მიერ კურირებული სასწავლო კურსების შინაარსს. პროგრამის ძირითადი ბლოკის ყველა საგნის იმპლემენტაციაში ჩართულია მაღალი აკადემიური რანგის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) პერსონალი, რომლებიც უნივერსიტეტის ძირითადი (აფილირებული) პერსონალსაც წარმოადგენს. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის ბირთვული კომპონენტების სტაბილურობასა და მდგრადობას. კურსების თემატური სპეციფიკა (ლინგვისტიკა, ლიტერატურა, ენის პრაქტიკა, კულტუროლოგია) შეესაბამება ლექტორთა აკადემიურ მიმართლებებს. STEM და ჰუმანიტარულ-სოციალურ ბლოკებში მოწვეული პერსონალი (მაგ., კიბერ ჰიგიენა, ხელოვნური ინტელექტი, დებატები, პოლიტიკური იდეოლოგიები) უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული, თანამედროვე და დარგობრივი ცოდნის მიწოდებას. ამასთან, პროგრამის სხვა ბლოკებში ჩართულია აგრეთვე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორებიც (მაგ., ისტორია, ლოგიკა, ეკონომიკა). სპეციალობის სავალდებულო ასარჩევ ბლოკში (მეორე ევროპული ენები) სწავლება უზრუნველყოფილია როგორც ძირითადი (აფილირებული), ისე მოწვეული პერსონალით.

პროგრამა აკმაყოფილებს სტანდარტის 4.1 ძირითად მოთხოვნებს აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის, შესაბამისობისა და საკმარისი რაოდენობის თვალსაზრისით. პროგრამის ძირითადი ნაწილი უზრუნველყოფილია სტაბილური, აფილირებული პერსონალით, რაც მისი მთავარი ძლიერი მხარეა.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული კომპეტენციის გამორჩეულობა და საქმისადმი სიყვარული, რაც მისი და თავისი პროფესიონალი გუნდის მუშაობის შედეგებშიც აისახება.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[5]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[6]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**41**	**4**	**23**	**22**
- პროფესორი	11	1	11	11
- ასოცირებული პროფესორი	11	2	11	11
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-	-
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	10	1	7	_
სამეცნიერო პერსონალი				_
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალი				

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კურსების სილაბუსები;
- დანართი 5.

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
4.1 ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია

[5] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[6] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.2 მაგისტრანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	არ ეხება

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	არ ეხება

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო

პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[4.4. მატერიალური რესურსი]	არ ეხება

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	არ ეხება

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შეფასება**
[5.1. შიდა ხარისხის შეფასება]	არ ეხება

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[რეკომენდაციები]

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისთვის]

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.2. გარე ხარისხის შეფასება	არ ეხება

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	არ ეხება

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა - მარიამ კილანავა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

სახელი, გვარი, ხელმოწერა - ნინო ჯოჯუა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა